რედაქცია
განოვის ქუჩაზე, სტ. მელიქოვის და ამხ. სტამბაში, ამატუნის სახლებში.

ხელის-მოწერა
რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи газеты „Дроэба“, при типографіи Меликова.

გაზეთის ფასი
წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადი — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.
ცალკე ნომერი — ერთი შაური.

# დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება
მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი
დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებს.
დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

## ხელის-მოწერა 1877 წლისა

მეთორმეტე წელიწადი გაზეთის არსებობისა

მომავალ 1877 წელს გაზეთი

## „დროება“

გამოვა იმავე პროგრამმითა და მიმართულებით, როგორც წარსულს წლებში გამოდიოდა.

მომავალი წლიდამ „დროების“ რედაქციის შრომაში უფრო დახლოებულ მონაწილეობასა და შრომას მიიღებს ორი ჩვენი ნიჭიერი მწერალი-პუბლიცისტი: აკაკი წერეთელი და ნიკ. ნიკოლაძე.

ამათი და აგრეთვე სხვა თანამშრომლების დახმარებით, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ, რამდენათაც რედაქციისაგან დამოკიდებული და დამოუკიდებელი გარემოებანი ნებას მოგვცემენ, კიდევ უფრო საინტერესო, სასარგებლო და საჭირო გავხადოთ ჩვენი გაზეთი მკითხველი საზოგადოებისათვის.

### ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში, სტ. მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში (განოვის ქუჩაზე, ამატუნის სახლებში).

გარეშე მცხოვრებთა თავიანთი მოთხოვნილება აქ ადრესით უნდა გამოგზავნონ: *Въ Тифлисъ, въ Типографію Меликова.*

სხვა ქალაქებში „დროებაზე“ ხელის-მოწერა შემდეგ პირებთან შეიძლება:

ქუთაისში — სვ. მესხთან (სილაზე), ფოთში — თ. ანტ. ლაზ. ნაკაშიძესთან და ელ. ბაბალოევთან, ახალ სენაკს — ნიკ. დგებუაძესთან, ზუგდიდს — თ. ტარ. ალექ. დადიანთან, ოზურგეთს — ანტ. ჯაყელთან, ყვირილაში — მ. დავ. ლამბაშიძესთან, გორს — ალალო თუთაევთან, ახალციხეს იოსებ სულხანოვთან და თელავს — თ. ლევან ჯანდიერთან.

| გაზეთის ფასი გაგზავნით და გაუგზავნელად | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| წელიწადში . . . . . . . . . . . . . . | 8 | „ |
| ნახევარ წელიწადში . . . . . . . . . . . | 4 და | 50 |
| სამის თვისა . . . . . . . . . . . . . | 2 და | 50 |
| ერთის თვისა . . . . . . . . . . . . . | 1 — | „ |

**აქვე საჭიროდ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ გაზეთი ნისიათ არავის არ გაეგზავნება გარდა იმ პირებისა, რომელთათვის პასუხის-გებას თვითონ „დროების“ აგენტები იკისრებენ.**

ვთხოვთ ჩვენ ბატონ ხელის-მომწერლებს, რომ თავიანთი მოთხოვნილება დროზე გამოგზავნონ, რადგან უამისოთ იმათი ადრესების დაბეჭვდა დაგვიანდება; ვითხოვთ აგრეთვე, რომ ხელის-მომწერთა სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით იყოს დაწერილი და ყოველთვის, როცა ადრესს გამოიცვლიან, დროზე შეატყობინონ ის რედაქციას.

გამომცემელი **სტ. მელიქიშვილი**
რედაქტორი **ს. მესხი.**

## საქართველო

### ავაზაკობა ქალაქში

არასოდეს არ გაგონილა ისეთი გახშირებული ქურდობა და ავაზაკობა ჩვენს ქალაქში, როგორც ამ ჟამად.

დღე არ გავა ისე, რომ ქალაქის ხან ერთსა და ხან მეორე უბანში ქურდობა, ავაზაკობა ან კაცის-კვლა არ მოხდეს. ამას წინათ საღამოს ექვსს საათზე, კუკიის ხიდთან, სადაც ამ დროს მინუტში უკანასკნელი ორმოცი კაცი გაივლის და გამოივლის, ერთი ვიღაც საწყალი მოლაკანი მოჰკლეს. გუშინწინ, საღამოს 8 საათზე, ბაზრის ჩასახვევში, ზედ დიდი პოლიციის გვერდით, ერთი ვიღაც ქართველი თავადიშვილი დაიჭირეს კინტოებმა და გაცარცვას უპირებდნენ; მაგრამ ყვირილი დაიწყო და ხალხი მოეშველა, ავაზაკებმა კი გაქცევა მოასწრეს. იმავე დღეს, 9 საათზე, კუკიის ხიდზე ერთი ვიღაც გაცარცვეს.

სულ რომ ჩამოვთვალოთ მარტო ის ავაზაკობა, რაც თუნდა ამ უკანასკნელ ერთის კვირის განმავალობაში მომხდარა, ჩვენი სტატია ერთობ გაჭიანურდება; საკმაო იქნება გავიმეოროთ მხოლოთ ის, რაც ზევით ვსთქვით: რომ დღე არ გაივლის ისე, რომ ქალაქის რომელსამე ნაწილში ავ-კაცობა არ მოხდეს და ყვირილწივილი არ შეიქნეს.

რას უნდა მივაწეროთ ეს გარემოება?

იქნება იმას, რომ ავაზაკები ომიანობის მოახლოებას გრძნობენ და ჰგონიათ, რომ ახლა უმთავრესი ყურადღება სამხედრო, გარეშე საქმეებზედ იქნება მიქცეული? ან იქნება თავ-აღებულ თათრებს რისამე იმედი აქვთ და იმიტომ გათამამდნენ ასე?

იქნება ახალი პოლიციამე სტრის სისუსტე გავრცელდა ხალხში და დაუჭერლობისა და დაუსჯელობის იმედი მიეცათ?

ან იქნება ახლანდელი სიძვირეა ამის მიზეზი?

რაც უნდა იყოს, საქმე იმაშია, რომ ამნაირად ცხოვრება ქალაქელებს არ შეუძლიანთ. ერთი რამ საშუალება უნდა იხმარონ, რომ დაამშვიდონ უიმისოთაც დაფთხობილი ხალხი.

ერთი და ორი ავაზაკის დაჭერითა და დასჯით არა გამოვა-რა; აქ სხვა რამ, უფრო ვრცელი, უფრო საზოგადო მიზეზია.

ეს მიზეზი გამოძიებამ უნდა აღმოაჩინოს და მთავრობამ იმის მოსპობისათვის საფუძვლიანი ღონისძიება უნდა იხმაროს.

მგონი, არცერთ ქალაქში არ მოიპოვება იმდენი უსაქმო და საეჭვო ცხოვრების ხალხი, რამდენიც ჩვენს ქალაქშია. შუა-ბაზარი, აბანოების ახლო-მახლო ადგილები და ქარვასლები, ავაზაკი, გარყვნილი ხალხია, იქ მოგროვილა.

ერთ-დღიურ აღწერის იმედი გვქონდა, რომ ამ გვარ უსაქმო ხალხს აღმოაჩენდა, მთავრობას რომ ერთი რამ საშუალება ეხმარა იმათ სასარგებლოთ ან საწინააღმდეგოთ. მაგრამ ამ ფუფ. დობროვოლსკის ერთ-დღიურმა აღწერამ ეს კი არა, ქალაქის მცხოვრებლების რიცხვიც ვერ შეგვატყობინა. ჰაი-ჰუი, ფაცა-ფუცი კი ბევრი იყო.

აი ამ უსაქმო ხალხს უნდა მიექცეს, ჩვენის ჰაზრით, უმთავრესი ყურადღება. უეჭველია, რომ, რაც ქალაქში უწესოება და ცუდ-კაცობა ხდება, იმათგან უნდა ხდებოდეს.

ს. მ.

### დღიური

გუშინწინ, დეკემბრის 20-ს, ჩვენმა ქალაქის რჩევამ, წლის-ყრით ამოსულის გამგეობის ორი წევრის — ბატრ. ხატისოვისა და არტ. თამამშევის ნაცვლად, ამოარჩია ორი ახალი წევრი. სამთა იყარეს კენჭი: ალექსანდრე მატინოვმა, მარკ დოლუხანოვმა და არტემ თამამშევმა. სხდომაზე 53 ხმოვანი დაესწრო; ამათგან უ. ა. მატინოვს ამოუვიდა — 43 თეთრი კენჭი და 9 შავი, უ. მ. დოლუხანოვს — 39 თეთრი და 13 შავი და უ. ა. თამამშევს — 37 თეთრი და 15 შავი. ამორჩეულ იქმნენ მატინოვი და დოლუხანოვი.

სეკრეტრად მხოლოდ ერთს — პაველ ალექ. იზმაილოვს უყარეს კენჭი, რომელიც ამორჩეულ იქმნა 42 თეთრი კენჭით (შავი 11 ამოუვიდა).

ორი ზემოხსენებული წევრი ოთხოთხი წლით არიან ამორჩეულნი, სეკრეტარი სამის წლით.

ამნაირად ჩვენ ქალაქის გამგეობას მომავალი წლიდამ შეადგენს: ქალაქის თავი უფ. დ. ი. ყიფიანი და შემდეგი ოთხი წევრი: უფ. ა. ხანჯიევი, ა. მატინოვი, მ. დოლუხანოვი და პ. ალხაზოვი (ამშენებელი განყოფილების). თითქმის სულ ახალგაზდა და მცოდნე კაცები არიან და ქალაქს სრული იმედი აქვს, რომ ამათგან მაინც რამე გამოდგება....

ამავე სხდომაზე რჩევამ ამოირჩია შვიდი კაცისაგან შემდგარი სავაჭრო დეპუტაცია, რომელსაც უმაღლესი ზედამხედველობა ექნება ვაჭრობის წესიერად წარმოებაზედ.

*
* *

ერთს წინანდელ სხდომათაგანში ქალაქის რჩევამ მიიღო მხედველობაში [illegible] თებისათვის წელიწადში ორი მანეთი მიუმატა იმას, რადგან ნავთი ამჟამად ძვირობს ჩვენს ქალაქში. ამნაირად თითო ფანრის განათება ახლა ორ თუმნად უზის წელიწადში ქალაქს. როცა ნავთი გაიაფდება, რჩევას უფლება აქვს ისევ დაუკლოს ფასი.

*
* *

ახალციხის ახლანდელ მდგომარეობაზედ შემდეგს გვწერენ:

„ცუდი დრო დადგა ღარიბი კაცისათვის ამ ჩვენს ახალციხეში; ჯარის მოსვლის გამო, რაც სახლები იყო, სულ ისე დააძვირეს, რომ ოც-და-ხუთ თუმნად არ იძლევიან ახლა იმ სახლს, რომელიც ადრე ათ-ხუთმეტ თუმნად ქირავდა წელიწადში. აგრეთვე სუყველა საგანს ისეთი ცეცხლის ფასები ადევს, რომ საწყალ კაცისთვის ძალიან გაძნელდა აქ ცხოვრება: თივა ფუთი ღირს ცამეტი შაური, ქერი მანეთი, ამ ფასადაც ვერ შოულობს კაცი.

„ერთის სიტყვით, თუ მალე არ გადაწყდა ეს ომის საქმე, ცუდათ იქნება ჩვენი მდგომარეობა.

„თითქო განგებ, ეს ერთი თვეა გაუწყვეტლივ წვიმს, გზები სულ გაფუჭდა და სოფლის ხალხს ველარა მოაქვთ-რა, რომ ქალაქში უფრო იაფად გაჰყიდონ. ამის გამო ახლა ურიების ხელში ვართ და ესენი, რაღა თქმა უნდა, სარგებლობენ ამ ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობით.“

*
* *

ქუთაისიდამ გვწერენ, რომ ამ დღეებში იქ, ფერმის პირად, ქვიშაში გახვეული, რიონიდგან გამოგდებული ერთი მღვდელი ნახეს დამხრჩვალიო.

ეს მღვდელი ლეჩხუმელი ყოფილა; თავის სოფლიდამ მეორე სოფელს მინავალან ის და იმის პრიჩეტნიკი; გზაზე რიონი უნდა გაეელოთ თურმე, ფონი მონახეს, ორივენი შესხდნენ ერთს ცხენზედ; მაგრამ შუა წყალში ცხენი წაჰქცეოდათ და ჩაცვივნულიყვნენ; პრიჩეტნიკიც იქვე დამხრჩვალი უნახავთ.

* *
*

ჩვენ შევიტყვეთ, რომ მომავალი წლიდამ გაზეთის „კავკაზის“ რედაქტორად, უფ. სტალინსკის მაგიერად, უფ. ვორონოვი დაინიშნაო.

უფ. ვორონოვი გამომცემელია იმ „მთიულებზე ცნობათა კრებისა“, რომელმაც ღირსეული ყურადღება დაიმსახურა კავკასიის რუსულ ლიტერატურაში. როგორც ამბობენ, უფ. ვორონოვი კარგათ იცნობს კავკასიის ქვეყანას, იმის ხალხებსა და ცხოვრებას.

მაშ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იმის ხელში ეს მდიდარი ოფიციალური გაზეთი უკეთ წაიყვანს თავის საქმეს და უფრო სინიდისიანათა და მოხერხებით აასრულებს თავის უპირველესს დანიშნულებას, რომ რუსეთის ხალხს გააცნოს კავკასიელების როგორც წარსული ცხოვრება, აგრეთვე ამ წარსულზე დამყარებული აწმყო ცხოვრება და საჭიროება.

მივესალმებით ახალ მოძმეს...

* *
*

ავაზაკობასთან ცეცხლიც გახშირსაძი დღის განმავალობაში ორჯელ გაჩნდა ცეცხლი, ერთხელ კუკიაში, ვიღაც მალაკანის სახლი დამწვარა, მეორეთ ჩუღურეთში მოჰკიდებია ვიღაცას სახლს, მაგრამ მალე შეუტყვიათ და დაუქრიათ.

ერთმა ჩვენმა ნაცნობმა ამ ცეცხლის გახშირების მიზეზი იმით აგვიხსნა, რომ ჩვენი სახლის პატრონები და ვაჭრები ომიანობას მოელიანო და, ცეცხლის შემწეობით, თავიანთ ქონების განაღდებას, ფულად ქცევას ცდილობენო!...

* *
*

უფ. საფაროვის სახლის დაწვის თაობაზე ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

„ყოველ ცეცხლის დროს, არ შეიძლება თითო-ოროლა რაღაც ხმა არ გავრცელდეს ჩვენს ქალაქში: აი ახლაც უფ. საფაროვის სახლის დაწვის თაობაზე ბოროტი ენები ამბობენ, რომ ვითომც საფაროვს Ი. მ. მირზოაშვილის დიდ-ძალი ფული ემართოს იმაზედ გასყიდულ ზღვის მარილისა; თავის ვადაზედ ამ მარილის ფული ვითომც არ ჩაებარებინოს მირზოევითივს, ისევ მარილი დაებრუნებინოს, მაგრამ სრულად კი არა, ოთხი ათასი თუმნის დააკლდაო, და გასულ კვირეებში, რამდენიმე დღის წინათ ცეცხლისა, ვითომც უფ. მირზოაშვილს ჰსურდა მის მაღაზიის და სახლის აწერაო.

„თქვენ იცით — დაიჯერებთ ამ ამბავს, თუ არა. მე კი არა მჯერა, რადგან ქვეყანა უფ. საფაროვებს თითქმის მილიონერებად იცნობს.“

* *
*

თითქმის ისე საღამო არ გამართულა ახლად გახსნილს სახელოსნო კლუბში, რომ უწესოება და სკანდალი არ მომხდარიყოს. ხან სტარშინების ამორჩევის თაობაზე ატყდება ხოლმე ერთი აყალ-მაყალი, ხან ზოგიერთ ისეთ სულდგმულების შეყვანაზე, რომელთაც კლუბის წესდებით უფლება არა აქვთ, ხან რა და ხან რა. მაგრამ ამ გასულ კვირას რომ უწესოება მოხდა, ის ყველას სჯობდა: სამი დამთვრალი კაცი, რომელთაც ჩვენ არ ვასახელებთ, მოადგნენ კლუბს და შესვლა უნდოდათ. სტარშინამ, რასაკვირველია, ამგვარ მდგომარეობაში მყოფ ხალხს შესვლის ნება არ მისცა. შეიქნა ჯერ ცხარი ლაპარაკი, ცხარი ლაპარაკს, როგორც ამბობენ, ცხარი მუშტი-კრივი მოჰყვა, და ბარე ორი გვერდებ დაზელილი კაცი გამოიყვანეს თურმე კლუბის კარებიდამ!

თუ ასე გაგრძელდა სახელოსნო კლუბის საქმე, წინასწარმეტყველი არ უნდა იყოს კაცი, რომ იმას ხანგრძლივი სიცოცხლე არ უწინასწარმეტყველოს. ერთი რამ საშუალება უნდა მონახონ კლუბის წევრებმა და სტარშინებმა, რომ შემდეგში უ ჭველად ამისთანა უწესოება სამუდამოთ მოისპოს. ამ თავითვე უნდა ეცადონ, რომ ახლად გახსნილ კლუბს სახელი არ გაუტყდეს, თორემ მერე გვიან იქნება...

* *
*

ამჟამად ქალაქში შეკრებილია, ღუბერნიის მარშლის მოწვევით, ქართლისა და კახეთის თავად-აზნაურობა დრუჟინის მოკრების თაობაზედ. კრება გასულ კვირას იყო Თფილისის სადგილ-მამულო ბანკის ზალაში. ამ კრებაზე, როგორც გვითხრეს, სხვათა შორის გადაწყდა, რომ რადგან ამ ჯერობით დრუჟინაში შესვლის მსურველები თუმცა არიან, მაგრამ მომეტებულ ნაწილს თოფ-იარაღი და ცხენები არა ჰყავთ და არც თავის ხარჯით წასვლა შეუძლიანთ, ამის გამო უეზდის მარშლებს მიენდოსო, რომ შეიტყონ: ვის სურს ჩარიცხვა ხსენებულს დრუჟინაში და რა აკლიათ იმათ? შემდეგ ეს სია ღუბერნიის მარშალს უნდა წარუდგინონ, რომელიც ჯეროვან განკარგულებას მოახდენს.

* *
*

ჩვენ მივიღეთ ქიზიყიდამ შემდეგი ახირებული შემთხვევის აღწერა:

„ბევრჯელ მინახავს მაჩხუბარი კაცები, რომლებსაც ერთს მეორისათვის ძლიერ ეცემოს, ერთს მეორე მოსაკლავად არ დაენდოს; მაგრამ თუ დედაკაცებმაც ამნაირი ომი იციოდენ, ეს კი არ მეგონა; თუ დედაკაცებსაცა მუშტი-კრივი ეცოდინებოდათ, არც ეს ვიცოდი. Ღმერთმა ყოველი კაცი დაიფაროს გაბრაზიანებული დედაკაცის ბრჭყალისაგან. სოფელს მ — ში ერთ საღამოზე ერთი გლეხი კაცის ეზოში, საზიარო თონეზე დედაკაცები პურს აკრავდნენ; თონის პირს დგა ორი დედაკაცი: ახალი მოყვანილი პატარძალი და მისი მული. ამ დროს მოვიდა ამათთან კიდევ მესამე დედაკაცი, რომლის ეზოშიდაც თონე იდგა და უთხრა ამათ:

„— ჩქარათ დახადეთ მჭადები, მეც ეხლა უნდა დავაკრა, მოზელილი ცომი შინ მიძე, არ ვამიფუჭდეს!

„— Იიი, იმ დღე რომ შენი გახურებული ფიჩხით თონეზე პური არ დაგვეკრევინე, არც ჩვენ დაგაკრევინებთ. Ზაცევდე'ს თონე და მაშინ დააკრი.

„ამ სიტყვის თქმაზე ძლიერ გაჯავრდა მოზიარე დედაკაცი: დაიწყო ლანძღვა-გინება; იგრე გაანჩხლდა, რომ, ცოტა არ იყო თვალები კუთოებიდამ არ გადმოუცვივდნენ; როგორც გახელებული ლომი, მივარდა თონეს და ქცევა დაუწყო; ხელით რომ ვერა გააწყო-რა, აიღო დიდი ქვა და თონეს სცემდა. უნდა გეყურებიათ, როგორ სეტყვასავით ჩაცვივდნენ თონეში ახალ-ახალი დაკრული მჭადები!

„მჭადის პატრონ დედაკაცებმა ვეღარ მოითმინეს ამოტეხილი შეწუხება, პატარძალმა სირცხვილით ვერა გააწყო-რა, რადგანაც ხალხი ახლად გაცნობილი ყვანდა; მისმა მულმა კი გაისვა ხელი: გაიგდო წიხლ-ქვეშ თავისი მეომარი და სულ „ვაი-მიშველე“ ახსა.

„ბოლოს როგორც იყო წაუვიდა ხელიდამ დედა-კაცი, შევარდა იქვე სახლში დაავლო ცულს ხელი და გამოიჭრა გარეთ თავის მაჩხუბართან; თუ მეზობლები არა, უსათუოდ შემოაკვდებოდა დედაკაცი. Ცულიდამ ხელი გააშვებინეს; მაგრამ თავისი ომი მაინც არ მოშალა: წაავლო ნიჩაბს ხელი და იმით დაუწყო ცემა. აქამდინ პატარძალი ჩუმათ იდგა, ეხლა, რაკი შეხედა თავის მულის გაჭირებას, ვეღარც ამან მოითმინა: მივარდა თავის მულის მაჩხუბარს და მკლავზე უკბინა; ამასაც რო აღარ დააჯერა, მივარდა ბრჭყალებით სახეში და სულ ერთიანად ჩამოაკაწრა. ამით კიდევ უფრო გამწარებულმა დედაკაცმა კიდევ ასწია ნიჩაბი და დაჰკრა ქვას ხელი და პატარძალს თავში „რახვა“ გაადინა; მაშინვე თავიდამ სისხლი ღარ-ღარით წამოვიდა. შეიქნა წივილ-კივილი, იმოტელა ხალხი მოგროვდა იმ ეზოში, რომ აღარ იყო ტევა.

„სულ იყო ამათი ჩხუბი და დავიდარაბა, როგორც ნახა ხალხმა, შვიდ ფეტვის მჭადზე.

„ბევრჯელ მოხდება ხოლმე ჩვენში ამისთანა ალიაქოთი დედაკაცებთ შორის საზიარო თონეებზედ.“

მიხეილ ზავაშელოვი

---

## „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

---

**ᲡᲝᲤ. ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲓᲒᲐᲜ, 14** დეკემბერს. Უ. რედაქტორო, თქვენ პატივცემულ გაზეთში იყო ამას წინეთ დაბეჭდილი შეწუხება Იერის-ხეველებისა თათრებისაგან, რომლებიც ერთობრივ შესჩიოდნენ თავიანთ ახალ უფროსს. Უნდა მოგახსენო, რომ ეს ჩვენი ხალხი საკვირველი დაუდევარი და რაღაც საცოდავი რამ არის: სამოცამდ კომლმა თათარმა ისე დაიბრიყვა ეს ამოდღლა ხეობის მცხოვრებელნი, რომ ზოგს ცხვარს სტაცებენ, ზოგს ცხენებს, ზოგს ძროხებს და ზოგს სახლებშიაც უცვივდებიან.

დეკემბრის 12 დღესა ნინო-წმინდიდგან წასულან ურმები სოფ. ჩაილურში, ღვინოების ამოსატანათა; ს. Თოხლაურის ბოლოს, ალინჯაში, ჩერქეზიანთ მამულში დახვედრიან თათრები და საქონლის წართმევა დაუპირებიათ; გლეხებს საქონელი არ დაუნებებიათ სახრების იმედით; ამ დროს ერთი კაცისთვის თათრებს დაუკრავთ თავში ცული და თავი გაუხეთქნიათ. Თათრები გაქცეულან და ბინაზედ მისულან; გამოსდგომიან ნინო-წმინდელები, მისულან ბინაზედ და ერთი ცული სისხლიანი უპოვიათ; დაუჭერიათ ორი თათარი, ერთი იმათაგანი დაჭრილს კიდეც უცვნია; გაუკრეს ხელები და ქალაქში გამოგზავნეს. არ ვიცით — გამოძიება გაამართლებს თუ არა. Დაჭრილი მძიმეთ არის, მორჩენის იმედი არა აქვთ.

ეს ერთი კვირა იქნება, მღვდელ Თევდორე ზულისოვის მწყემსებს ხელ-ფეხები შეუკრეს თათრებმა, ამოარჩიეს ოთხი კარგი მსუქანი ძროხა და გაირეკეს თავიანთ სოფლისკენ. როგორც ამბობენ, თათრებს თურმე ქორწილი ჰქონდათო, საერთოთ დაკლეს და ყველამ გაიგემრიელეს პირიო.

ამ სამი დღის წინეთ, კიდევ სოფ. მარიამ-ჯვარში ღამე შეუცვივდნენ ერთ ქვრივ დედაკაცს, რომელსაც თვრამეტი წლის შვილი ჰყოლია სახლში; ბიჭისთვის თოფის ლულა წაუკრავთ გულში და იქვე გადაექციათ; დედაკაცი წამომხტარიყო, დაეწყო ყვირილი და თათრებისთვის ცემა, თათრები კი აჩუმებენ: „ზულე, ზულე, გაჯუმდი, დედაკაცო!“

არ ვიცით ამ ცხვარ ხალხს რა წამალი უნდა დაედოთ? Იციან ყოველივე ეს და შეიარაღებულნი არ დაიარებიან, მიდიან და მოდიან სახრისა და შოლტის ამარათ. ამბობენ, მითომ ამას წინეთ ხალხს ეჩივლოს და მთავრობის განკარგულებით, მითომ გაფანტული მცხოვრები თათრები აჰყარეს და ერთ ადგილას ხინალის უეზდის სოფელს მუღანლოში მოაქუჩეს, პრისტავი და ჩაფრები აუყენესო და გარეშემო თხრილი შემოარტყეს და რომელ თათარსაც სოფლიდგან გამოსვლა მოუნდებოდა თურმე, პრისტავიდგან ბილეთი უნდა აეღოო. ამიტომ წინეთ საქმე თურმე კარგათ მიდიოდო, ცოტა ავაზაკობაც შესწყდაო; მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ ქურდობა და ავაზაკობა დაიწყესო; — არ ვიცით რა არის ამის მიზეზიო.

13 დეკემბერს ნაშუადღევისას კიდევ დასცემოდნენ თათრები გლეხებს ცხენების წასართმევათ; ერთი ოც-და-სამის წლის ვაჟკაცი ჭიაბერაშვილი გასძალიანებოდა სახრით, ამისთვის ჯერ თოფები დაეცათ და მერე ხლმით აეჩეხათ და თათრებს კი გაექუსლათ ცხენებით. ამბობენ, ერთს იმ თათრებთაგანს მოუკლავს გარეჯული გლეხი Უარფუხაშვილი ამ სამის წლის წინეთო და ციხეშიაც მჯდარა და განუთავისუფლებია სუდსა. ავაზაკები ჯერეთ არ დაუჭერიათ; მაგრამ იმედია, თუ ფიცხელი გამოძიება დაინიშნა და პოლიციაც ბეჯითათ მოეკიდა იმ ვაჟკაცის მომკვლელებს, იპოვიან, რადგანაც ბევრს კიდეც უცვნია.

ერთის სიტყვით, ამ ავაზაკობისა და კაცის-კვლისაგან ხალხი მეტად შევიწროებული და აღშფოთებულია;

ბევრისაგან გაიგონებთ ამ სიტყვებს: „ჩვენ დაგვიდგა ალამამად-ხანის დროვო! ან ჩვენ უნდა ავიყარნეთ და ან თათრები უნდა აიყარნენ აქიდგანაო. უკეთუ მთავრობა ინებებს იმათ აყრასაო, მაშინ ჩვენი ერისტკა იკისრებს იმ ხარჯსაო, რასაც ისინი აძლევენ ხაზინასაო."

ნიკ. ჟურდოვანიძე

## რუსეთი

„მოსკოვის უწყებებს" შემდეგი ამბავი მოსვლია ყირიმიდამ: „ჩვენ არ ვიცით როგორ თანაუგრძნობენ რუსეთს მისი მამულის შვილები სხვა მისი სამფლობელოს მაზრებიდამ, იმისთანა საქმეში, რომელსაც საქვეყნო მნიშვნელობა უნდა ექმნეს, მაგრამ ყირიმში კი აღმოჩნდნენ იმისთანა პირები, რომელთაც — ამ გვარ მდგომარეობაში, უფრო იმისკენ აქვთ თვალყური — თუ როგორ, რა საშუალებით მოითბონ ხელი და გამდიდრდნენ სახელმწიფოს ხარჯით. როგორც ამბობენ ამისთანა პირებს დაუწყიათ კიდეც თავიანთი გულის წადილის შესრულებაო. ამბობენ, მაგალითად, რომ „გემთა და ვაჭრობათ რუსის საზოგადოებას" (შავს ზღვაზე), 2,000 კაცის (ჯარის) გადაყვანა უკისრნია სევასტოპოლიდამ ვიდრე ფოთამდინ 15,000 მანეთად, მაგრამ ეს თუ გინდ არაფერი: ერთს გამომგზავრებაზე ამ საზოგადოებას წამოუყვანია მხოლოდ 1,000 და მეორეთ 250 კაცი — და ამისათვის აუღია კიდეც 7,500 მან. მაშინ როდესაც ამ ჯარის გადმოყვანა, ათას ორას ორმოც-და-ათი კაცისა, 1,000 მან. შეიძლებოდაო. ესაა საჭიროების დროს სამშობლოს დახმარება, მა რა ჯანდაბააო!"

„მეორე შემთხვევა. ერთს ინჟინერს, რომელსაც ბატარეის შესაკეთებლათ, მიწის მოყრა უკისრნია და თითოეულ კუბიკურ საჟენზე ორ მანეთ ნახევარი აუღია. ამას მუშაობისათვის თავი მიუნებებია და სხვისთვის გარდუცია — კუბიკური საჟენის გაკეთება მანეთ ნახევრათ, ამასაც მესამისათვის სამ აბაზათ გარდუცია." ნეტავი რა გრძნობები მიუძღოდნენ ამ ინჟინერსო იმ დროს, როდესაც იცოდაო, რომ კუბიკური საჟენის გაკეთება სამ აბაზათ შეიძლებოდაო და იმან კი ორ მანეთ ნახევრათ აილო ხაზინისაგანაო — გულწრფელათ კითხულობს კორრესპონდენტი?

## უცხო ქვეყნები

სტამბოლის კონფერენცია. სტამბოლიდამ იწერებიან, რომ 11 დეკემბერს, ორს საათზე ნაშუადღევს, ყოფილა პირველი სხდომა სტამბოლის კონფერენციისა. სხდომების თავმჯდომარეთ საფეტ-ფაშა ამოურჩევიათ და სეკრეტრებათ — ბარა-თეოდორე, სერკის-ეფენდი და გრაფი მონი. სახელმწიფოების წარმომადგენლებს თავიანთი ვექილობა ანუ მათი მმართებლობის მონდობილებანი წარმოუდგენიათ. სხდომის გახსნის შემდეგ თავმჯდომარეს საფეტ-ფაშას წარმომადგენლების ყურადღება მიუქცევია ზარბაზნების ხმებისათვის სიტყვებით: აი ეს არის და თქვენი ამ ყურითაც ისმენთ, რომ ჩვენი მმართებლობა უცხადებს თავის ქვეშევრდომებთ ოსმალოს სახელმწიფოს ახალს საფუძვლებზედ დამყნებულს კონსტიტუციას. — ამის შემდეგ წაიკითხეს კონფერენციის წევრების წინა სხდომებზე მოლაპარაკების შედეგი, რომელიც გარდაცეს საფეტ-ფაშას. ამ უკანასკნელმა ამ მოლაპარაკეების განსახილველად კონფერენციას სთხოვა მიეცათ მისთვის დრო. — ყურბან-ბაირამის უქმების დაწყებამდინ მხოლოდ ერთი სხდომა იქმნება კიდევ კონფერენციისა და ამ სხდომაზე უნდა განიხილონ მორიგების ვადის გაგრძელება ანუ გარდატანა, რომელიც, როგორც დღეს ვტყობილობთ, სტამბოლიდა, მოსულ ტელეგრამმით, პირველს მარტამდე (ახალის სტილით), ე. ი. 18 თებერვლამდე გარდაუტანიათ.

— ვენიდამ იწერებიან ერთს ინგლისურს გაზეთში, რომ უმთავრესს ვეზირს მითჰად-ფაშას და საფეტ-ფაშას, შემდეგ ექვს მოთხოვნილებაზე განუცხადებიათ მკაცრი, გარდაწყვეტილი უარი. 1) ოსმალოს ქრისტიანებთ პროვინციებში ოსმალლების იარაღის ჩამორთმევაზე; 2) ჩერქეზების აზიაში გარდასახლებაზე; 3) სლავიანური ენის ოფიციალურ ენათ შემოღებაზე პროვინციებში; 4) სლავიანური არმიის შედგენაზე და იმ უფლების შემცირებაზე, რომლისძალითაც აქამდისინ ოსმალოს მმართებლობა ბოსნიისა და ბოლგარიის ციხეებში თავის გარნიზონებს აყენებდა; 5) გარეშე ქვეყნების ჯარების ჩაყენებაზე რომელიმე პროვინციებთაგანში და 6) ოსმალოს ადმინისტრაციის ყურის-გდება (კონტროლი) ხალხთა-შორის კომმისიის შემწეობით.

— ბოლგარიელი ბერძნები ძრიელ უკმაყოფილოთ იყვნენ ბოლგარიისათვის ფილიპოპოლის პროვინციის დათმობაზე და კარგა ხანია ამ უკმაყოფილების განცხადებას უმთავრეს სახელმწიფოებს უპირებდნენ. დღეს ნემენცურს გაზეთში „პოლიტიკურ კორრესპონდენციაში" ამის თაობაზედ შემდეგს ამბავს ვკითხულობთ: „ყველა ბერძნების ქალაქები და სოფლები, რომელნიც ფილიპოპოლს პროვინციაში უმთავრესობას შეადგენენ, მოუწერიათ ხელი იმ ქაღალდზე, რომლითაც ისინი აცხადებენ, რომ ბოლგარიელებს არ შეიძლება მიეცეთ ფილიპოპოლის პროვინციაო. ეს პროექტი ჩაუბარებიათ უმთავრესი სახელმწიფოების წარმომადგენლებისთვის სტამბოლის კონფერენციაზე ორს დეპუტატს ბერძნების მხრით: პოგიგარის და სარაკიოტს. ამის შემდეგ ამათ პირადათ უნახავთ საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის, ავსტრიის, იტალიის და შემდეგ ღენ. იგნატიევიც.

—

ომის ამბავი. ნემენცური გაზეთი „პოლიტიკური კორრესპონდენციის" რუშჩუკელი კორრესპონდენტი შემდეგ ამბავს იწერება იმის თაობაზედ — თუ ოსმალო რამდენათ ემზადება მოსაგერებელს ომისათვის. „რუშჩუკში ამ დღეებში მოვიდნენ გენერალური შტაბის ზოგიერთნი აფიცრები, რომელთაც სამხედრო უწყებაში დიდი ხანია პატივი და სახელი დაუმსახურებიათ. — ამათში, სხვათა შორის, არიან: გენერალური შტაბის უფროსი ზახირ-ფაშა, უმთავრესი არტილერიის სამმართველოს წევრი ბალუმ-ფაშა და სხვანი გენერალური შტაბისავე და ინჟინერთა სამმართველოს აფიცრები — როგორც მაგ. ბედრი-ბეი, აბედინა-ბეი და ზამიდ-ბეი. ესენი ყველა ერთად შეადგენენ კომმისსიას, რომელმანც მჭიდროთ და დიდის ყურადღებით უნდა დაათვალიერონ სიმაგრეები: რუშჩუკი, ვიდდინა, ვარნა, შუმლა და სილისტრია, და — გარდა ამისა, უნდა გასაჯონ-თუ რამდენი ჯარი, ან სამხედრო ძალა დასჭირდებათ ამ ციხე ქალაქების გასამაგრებლათ. — ამავე კომმისსიისათვის მმართებლობას მიუნდვია ახალი სიმაგრეების აგება ბალკანიის მთების იქეთა და აქეთა მხარეებისკენ.

— ზემო მოყვანილი გაზეთიდამვე ვტყობილობთ იმას-თუ სერბიის სათავადოც რამდენათ ემზადება ამ ჟამათ საომრათ:" თუმც რუსეთსა და ოსმალოს შუა ომ-ს ატყდომა საეჭვოთ შეიქნა, ამბობს ეს გაზეთი, მაგრამ სერბიის სათავადო მაინც ძლიერ აჩქარებით და გულს მოდგინეთ ემზადება ყოველ-შემთხვევისათვის. მაგ. სამხედრო მინისტრს ბრძანება გაუცია, რაც შეეძლება კარგათ გაამაგრონ მდ. დუნაის ნაპირები — ქ. რადუევაციდამ, ვიდრე კლადოვამდე. ამ ორს ქალაქთ შუა უნდა გამართონ ახალი ბატარეიები, რომელნიც ახალი და დიდი ყუმბარებით უნდა გაამაგრონ. ეს განკარგულებები, როგორც ნამდვილათ ვიცით, იმ მიზეზით მოახდინა სერბიის მმართებლობამ, რომ ვიდდინაში, ოსმალოს მხრით, დიდს მზადებას ხედავს; გარდა ამისა სერბიელებს იმის შიშიც აქვთ, რომ — ომის განახლების შემდეგ, ოსმალოები მდ. დუნაიზე, ვიდდინის სიახლოეს, არ გადმოვიდნენო.

## ისტორია

### თეოფილაქტე რუსანოვი

პირველი ეკზარხოსი საქართველოისა *)

(1765—1820)

(გაგრძელება)

მეორე შემთხვევა უფრო შესანიშნავია. რიაზანში ერთ სობოროს დეკანოზს პოლიანსკის თავისი ნათესავი გარდაცვალებული ეპისკოპოსისაგან დარჩა ძლიერ კარგი და ძვირფასი ანაფორა. ბევრი ურჩიეს პოლიანსკის ეს ანაფორა თეოფილაქტესათვის მიერთმია, მაგრამ არ დათანხმდა. დეკანოზი თავ-დაპირველად ვერ მიხვდა, მაგრამ, როდესაც მასწავლებლობის თანამდებობიდამ დაათხოვა თეოფილაქტემ სემინარიიდამ, მაშინ კი მიხვდა ყველას და მეტი ჯანი არ იყო, მიართვა; თეოფილაქტემაც დაასაჩუქრა, მაგრამ თავისი საკუთრებიდგან კი არა, სახელმწიფო ნივთებიდგან!..

ყველაზე მომეტებულად ქრთამს იღებდენ საკურთხი მღვდლებისა და პრიჩეტნიკებისაგან. ქრთამს წინდაწინ დახარჯავდენ და როდესაც ადგილი გამოჩნდებოდა, იცოდა კარგად — ვინ იყო ღირსი ეპარხიაში იმ ადგილის მიღებისა და ვინ არა!

ხშირად თეოფილაქტეს მოყვარული პირი თუ სთხოვდა ვისმეს კურთხევას, შუამდგომლების ხათრითაც მალე მიანიჭებდა მღვდლობას და მთავარ დიაკვნობას. თეოფილაქტეს პატარა შაგირდები ყვანდა სასწავლებლის მგალობლებად. ერთ კარგად მგალობელ ბავშვს ყვანდა მამა, რომელმანც არაფერი არ იცოდა, მაგრამ მღვდლობის მიღება სურდა. შეეხვეწა შვილს შუამდგომლობას თეოფილაქტესთან. პირველად შვილმა ვერ გაბედა თხოვნა, მაგრამ ბოლოს მოთმინებისაგან გამოსული მამის თხოვნით წავიდა თეოფილაქტესთან და განუცხადა თავისი თხოვნა. თეოფილაქტე ამ დროს კარგ გუნებაზე არ იყო და კიდეც გაუწყრა ამ მგალობელს. იქედ დაკარგული შაგირდი დაბრუნდა უკან. გაიარა კარგმა დრომ. ერთხელ თეოფილაქტეს ყვანდა მიპატიჟებული ერთი რიაზანელი მდიდარი სადილათ. როდესაც კარგათ შექეიფდნენ დაუძახა თავის მგალობელს და აგალობა სხვა და სხვა სალმრთო საგალობლები. ამ მგალობელმა ძლიერ ასიამოვნა სტუმარსაც და მასპინძელსაც. თეოფილაქტეს გაახსენდა თავისი მგალობლის შაგირდის თხოვნა და კითხა მას: „შეუძლია კარგად კითხვა და გალობა მამაშენს?" მგალობელმა სთხოვა მამის გამოცდა. დაიბარეს ამ მგალობლის მამა გამოსაცდელათ, მაგრამ მეტი შენს მტერს არა, რაც იმას არა მიეგოს რა თეოფილაქტესთვის; მაგრამ მაინც აკურთხა მღვდლად. კარგ გუნებაზე მყოფობის დროს მიცემული სიტყვა აღარ შეშალა!

ამისთანა მოქმედებით ძლიერ ბევრი იყვნენ დაჩაგრულნი.

ერთხელ ერთი გულ-მოსული სემინარიელი წავიდა და ღამე თეოფილაქტეს სადგომ სახლზე მიაჭედა დიდი ფიცარი რომელზედაც იყო დიდი ასოებით დაწერილი: „ამა სახლსა შინა ისყიდება მღვდლების და პრიჩეტნიკების ადგილები, ფასი მოჰკითხეთ სეკრეტარს შ. ჩ." ეს მიკრული ფიცარი შინაურებმა ვერავინ ვერ შენიშნა და შუადღემდისინ ყოველი კაცი, ვინც მოდიოდა, ხედავდა და კითხულობდა! ბოლოს შეიტყვეს, მაგრამ გვიან.

აი როგორ იქცეოდა თეოფილაქტე რუსეთში; დიდი ქრთამობა იყო გავრცელებული იმის დროს, მაგრამ რადგან ხალხის თვალის ახვევა იცოდა, ყველას უყვარდა და პატივს სცემდნენ.

*) იხილე „დროება", № 114

ქრთამობა ჩვენში დიდი ხანი არ არის, რომ შემოიღეს. წინეთ, არ იყო ქრთამობა. ჩვენში შეძლებულ,საზოგადოებაში დიდი გავლენის მქონებელ პირთან მიიქცეოდნენ და მათის შუამდგომლობით აკეთებდნენ საქმეს. ყველამ კარგად იცის—თუ ვისი ბრალია და ვის მიეწერება ჩვენში ქრთამობის შემოღება. თუმცა ძველ გუჯრის ქადალდებში სწერია ზოგან, „ქრთამი ძღვენი,“ მაგრამ ეს ქრთამი ეხლანდელი ქრთამი არ ყოფილა; ეს საჩუქრელი იყო, შრომის ფასი. შენ, მაგალითად ესთქვათ, ორი-ათას მანეთს იღებ გლეხების და აზნაურების საქმის გაპარიგებლად, და ამ გასარიგებელ საქმეში, რომელშიაც შენ კანონიერად დანიშნული ფული გეძლევა, კიდევ სხვასართმევ. ეს არის ქრთამია, რომელზედაც საღმრთო წერილში არის ნათქვამი: „მექრთამენი სასუფეველში ვერ შევლენო.“

# ნარევი

სცენა ფოთი-თფილისის რკინის გზაზედ: ერთ ვაგონში ოთხი ქუთაისში მიმავალი, იმერელი ზის. ოთხივეს „ყალიონები“ უჩრიათ პირში და განცხრომით თამბაქოს ეწევიან, თან მასლაათობენ კიდეც ომიანობაზედ.

პ ი რ ვ ე ლ ი. აი, შენ არ მოუკვდე ჩემს თავს, ომარ ფაშამ რუსეთს ვერ აჯობოს, თუ მართლა, როგორც იმ კაცმა თფილ-ქალაქში გვითხრ, ჩხუბი შეიქნა!

მ ე ო რ ე. იე, რა სათქმელია, შე კაცო! ვერ უყურებდი რა ჯარი მიდიოდა ყოველ დღე, აუ ცხენოსანი და თუ ქვეითი? სულ იქითკენ მიდიოდნენო.... საით მიდიოდა ჯარიო, რა გვითხრა იმ კაცმა? რა ქვიაო, შე კაცო, იმ ქალაქს?..

მ ე ს ა მ ე. ალექსანდრაპოლი....

მ ე ო რ ე. ჰო, ალექსანდრაპოლისკენო... მერე, რა თოფები ჰქონდათო, იცი? თურმენუ იტყვი, ერთი თვალის დაპაჭუნებამდი ოც-და ხუთჯერ თავის-თავათ კიდეც, გეიტენება და კიდეც გავარდებაო, არა?! წადი და უყარე კაკალი!..

მ ე ო თ ხ ე. შე არ გვანებია შენ „ფილთას“ სიმონა?

ს ი მ ო ნ ა. ვაჟო, ვაჟო! იმ ფილთასაც ჰქონდა ერთხელ თავისი დრო, ჩემო ძმაო...

ამ დროს, იქვე მახლობლად მჯდომი ბერძენიც გაერევა ამათ ლაპარაკში და ჰკითხავსთ:

რა თქვეს თფილ ქალაქში, ომი იქნებაო?

პ ი რ ვ ე ლ ი. ჩვენ კი დაგვაჯერეს იქნებაო და, მართლა, იმ კაცმა რომ გვითხრა, კიდევ?...

ბ ე რ ძ ე ნ ი. რაო, რა გითხრათ?

პ ი რ ვ ე ლ ი. რიო და, რუსეთს შეუთვალა ომარ-ფაშისათვის, რომ — ჩამომეხსენიო, თვარა ამ აღმოსავლეთიდამ დასავლეთამდი ან სულ ერთიანათ აგაოხრებ მთლათ ერთიანათ ყველაფერსო და ან ჩემს სამეფოზე ხელს ავიღებო! ვერ იზამს თუ?

ბ ე რ ძ ე ნ ი. რატომ ვერ იზამს?

მ ე ო რ ე. იზამს, შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს!

მ ე ს ა მ ე. სწორეთ იზამს!

მ ე ო თ ხ ე. რატო ვერ იზამს?. შე რა დაუშლის, თუ იცი?

*
* *

ოზურგეთში ერთი დიდი მუცელა ინგლისური ჯიშის ღორი გაჩენილა თურმე, რომელიც თავისუფლად დადის ქუჩებში; კორრესპონდენტი გვთხოვს გამოვაცხადოთ ეს ამბავი, იქნება რამე გვეშველოსო, თორემ ამ ღორმა სულობით აგვაოხრა და შეგვიჭამა მოსავალიო. ადგილობრივ პოლიციას სთხოვენ, რომ ამ მსუნაგ ღორს ყურადღება მიაქციოს...

# განცხადებანი

ამ დღეებში დამტკიცდა იმ საზოგადოების წესდება, რომელიც ქალაქში შესდგა და რომელმაც იკისრა მზრუნველობა ღარიბ მოსწავლე ქალებზე თფილისის საქალებო სასწავლებლებში. ამისთვის 27 ამ თვეს, 12 საათზე, დილით ქალაქის საქალებო გიმნაზიის ზალაში მოხდება საზოგადოების წევრების ყრილობა კომიტეტის შესადგენათ. (3—1)

LA VELOUTINE
(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის პუდრი (ფუმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

იმეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე,რომ ალბობს და ახალგაზრდა ადამიანის კანს დაამსგავსებს. კანს ეკვრება და არა სჩანს.

შ. ფაი—გამომგონი

pommade satin
(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris
156—91

Старшій братъ Туніевыхъ БОГДАНЪ, отдѣлившись отъ братьевъ открылъ отдѣльно подвалъ Кахетинскихъ винъ въ 10 уч., на Елизаветинской улицѣ. въ домѣ Страхова, подъ своимъ именемъ и обѣщается достовлять изъ Кахетіи, съ лучшихъ мѣстъ, хорошія вина и продавать ихъ по весьма сходнымъ цѣнамъ такъ, что Тифлисская публика останется довольною.

(2—2)

ბოღდანი, თუნიევების უფროსი ძმა, გაეყო თავის ძმებსა და გახსნა თავის სახელობაზე ცალკე ღვინის სარდაფი მე 10 უჩასტკაში, ელისაბედის ქუჩაზე, სტრახოვის სახლებში. ბოღდან თუნიევი ჰპირდება საზოგადოებას, რომ ის მუდამ კახეთიდამ მოიტანს საუკეთესო ღვინოებს და ძალიან იაფ ფასათაც გაჰყიდის ასე, რომ სრული იმედი აქვს, იმის ღვინოების მსყიდველი საზოგადოება ყმაყოფილი დარჩება.

(2—2)

# საუკეთესო საშუალება

თაგვების, ვირ-თაგვებისა და ბუზანკალის გასაწყვეტად

რის მუტმანი, ქიმიკოსი პეტერბურგში, (?)

იმპერატორის სასახლის მეიჯარადრე

რომელსაც პრივილეგია აქვს ბინაგან. — უცხო ქვეყნების სასახლეებისა.

პატივი მაქვს პატივცემულ საზოგადოებასა და მოვაჭრეებს წარუდგინო ჩემგან მოგონილი საშუალება თაგვების, ვირთაგვებისა და ყოველგვარი ბუზანკლების, როგორც მაგალითად: ნამის ჭიისა, ჩრჩილის, ჭინჭველის და კედლის-ტილის გასაწყვეტად. ხსენებული საშუალება ჩემგან შედგენილია და მთელს ევროპაში ცნობილია, როგორც საუკეთესო საშუალება.



1872 წლის მოსკოვის პოლიტეხნიკურ გამოფენის დროს ამ საშუალების გამომგონისთვის, დიდი ვერცხლის მედალი მივიღე და აგრეთვე ვენის გამოფენაზე 1873 წელსა.

გამომგონი პასუხს აგებს.

ვინც ნარდათ იყიდის, უფრო ნაკლებ ფასად დაუთმობენ.



პრეის-კურანტი:

წამალი თაგვებისა, ვირთაგვებისა და თხუნველისათვის—1 მ. და 50 კ. პარაშოკი ნამის ჭიისა, ჩრჩილისა, ჭინჭველისა და რწყილისათვის ღირს 1 მ.; ამასთანავე რეზინის შხაპუნაა საჭირო, რომელიც 60 კაპ. ღირს. კედლის-ტილის წამალი—1 მან.; სასიამოვნო სუნი აქვს და არც ლაქას დასტოვებს, რაზედაც დაასხმენ. დამპრეზული ხორცის (მაზოლის) წამალი, ერთი ბანკა—60 კაპ.



უმთავრესი დეპოარის თფილისში, დვორცოვის ქუჩაზე, აწრუნის ქარვასლაში, ლანკოს მუზიკის მაღაზიაში; ვლადიკავკაზში, სევალთან, ალექსანდროვსკის პროსპექტზე, ლებედევის სახლში; სტავროპოლში—კურილჩენკოსთან.

აქ ქალაქებს გარეშე მცხოვრებლებმა ფოჩტის ფული ცალკე უნდა გამოგზავნონ. აქვე ისყიდება თმისსალებავი. 54—38

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი | 9 | 36 | 4 | 54 | | | | |
| მცხეთა | — | — | — | — | — | 68 | | 38 |
| გორი | 12 | 21 | 8 | 41 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური | 2 | — | 11 | 10 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბექათუბანი | — | — | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა | — | — | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი | 8 | 23 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია | — | — | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| აკ.-სენაკი | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი | 11 | 44 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი | 8 | 40 | | | | | | |
| აკ.-სენაკი | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია | — | — | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი | 11 | 51 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა | — | — | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბექათუბანი | — | — | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური | 5 | 41 | 1 | 6 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი | 7 | 23 | 3 | 6 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა | — | — | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 10 | 16 | 7 | 24 | 9 | 75 | 5 | 42 |

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:
ოდესისკენ—ხუთშაბათს დილით.
სტამბოლს—კვირაობით, დილას.

ბ) ოდესსიდამ:
ფოთისკენ—ხუთშაბ., ნასადღ. 3 საათ.
სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე.

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში | 3 | 75 |

ფოშტა

ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:
სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს—პარასკ. და ორშაბ. ბაქოს—ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს—სამშ. და შაბ.

ბ) ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ:
თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) გ ო რ ი დ ა მ.
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფ ო თ ი დ ა მ:
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ლია წიგნის | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 8 დეკემბ. | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $3^1/_2$ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში $303^1/_2$ სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | $7^1/_2$ | |
| ბანკის ბილეთი 5% | 93 | 25 |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 179 | — |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 173 | 50 |
| მიწის ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | — | — |
| ხერსონის ბანკის ($5^1/_2$) | 79 | 75 |
| მოსკოვის (5%) | 81 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 250 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | — | — |
| მავიზღვის ცეცხ. გემების | 470 | — |
| კავკაზის და მერკურის | 206 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ | 720 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 240 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ | 269 | — |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 21 დეკემბ. | | |
| პური შოთრაგალის ფთ. | 1 | 50 |
| ქერი ფუთი | — | 95 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი | 5 | 20 |
| —ამერიკისა, ფუთი | 5 | 60 |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 6 | — |
| —თარაქამისა ფთ. | 4 | 60 |
| აბრეშუმი ნუხური სტ | 3 | 20 |
| ქონი, ფუთი. | 4 | 50 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 40 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 12 | 50 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 65 |
| —ცხვრისა, ლიტრა | — | 63 |
| სპირტი, ვედრო. | 6 | 60 |
| შაქარი, ბროც. ფუთი | 8 | 50 |
| —ფხვნილი ფუთი | 6 | 40 |
| ყავა გრგვალი, ფუთი | 20 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 5 | 20 |
| ოქრო ½, იმპერიალი. | 7 | 15 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22 Декабря 1876 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი, რედაქტორი ს. მესხი.